

საჭიროა აღინიშნოს რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება მუნიციპალიტეტის დონეზე სასტუმრო ბიზნესის და კვების (მათ შორის სწრაფი კვების) ობიექტების განვითარება. მათ მიერ გაწეული მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა მუნიციპალიტეტების, ასევე უცხო ქვეყნის წარმომადგენლებისთვისაც. 2018 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 ერთეული სატუმრო, ასევე 15 ერთეული საოჯახო ტიპის სასტუმრო/ჰოსტელი, და ასეულზე მეტი კვების ობიექტი (რესტორნები, კაფე-ბარები, სწრაფი კვება და სხვა).

ასევე გამოვლინდა, ადგილობრივი ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორები:

1. საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და არასაკმარისი ანალიზი;
2. ადგილობრივი პროდუქციის დაბალი ცნობადობა;
3. დასაქმებულთა არასათანადო კვალიფიკაცია;
4. არასათანადოდ განვითარებული კავშირურთიერთობები და შესაბამისი სერვისები;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შრომისუნარიანი მოქალაქეების უმრავლესობა დასაქმებულია ზემოთ აღნიშნულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში. ასევე ესთეტიკური მომსახურების, ინდ.კერვის, ავტო-ტექ მომსახურების, საზ.კვების და მომსახურების სხვა სფეროებში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების პროექტების განხორციელება, თუმცა მოქმედი კანონმდებლობის გამო მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები ბიუჯეტის მხოლოდ 35 %-ს შეადგენს, დანარჩენი - 65% კი ცენტრიდან მისაღებ სხვადასხვა სახის ტრანსფერებზე მოდის, შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო თანხები არ არის საკმარისი.

გამოვლინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხშირია ახლადგახსნილი საწარმოების მალე დახურვის ფაქტებიც. რაც ხშირად გამოწვეულია დამწყები მეწარმეებს არა სათანადო ცოდნითა და ინფორმირებულობით. არ ხდება კერძო სექტორში დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ვერ ხდება უცხოეთის მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მუნიციპალიტეტის დონეზე დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება; არ ხდება გასაღების ბაზრების ძიება, დაბალია ადგილობრივი და უცხოური კომპანიების თანამშრომლობის ხარისხი, მაშინ როცა მუნიციპალური საწარმოების დონეზე ამის მზაობა არსებობს.

სახელმწიფო და ადგილობრივი ფინანსები არ არის საკმარისი მოხდეს ამ პრობლემების წინააღმდეგ დამოუკიდებლად გამკლავება, გამომდინარე აქედან საჭირო ხდება დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის გამოჩენა არსებული გამოწვევების დასაძლევად.

## 6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მუნიციპალიტეტის დონეზე კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამის მაგალითია ამ გეგმის მომზადების პროცესიც.

ადგილობრივი თანამშრომლობა ტრადიციულად სექტორალური სფეროების მიხედვით ხორციელდებოდა (მეტალურგიული წარმოებები ერთმანეთთან, ავტოგადამზიდავები და შესაბამისი სერვისის ოპერატორები ერთმანეთთან, ღვინის მწარმოებლები ერთმანეთთან და ა. შ.), თანაც ეს ურთიერთობები არ ატარებდა სისტემურ და მიზანმიმართული ურთიერთობების სახეს და უფრო გარემოებები - სხვადასხვა ტიპის აუცილებლობები ანაც კრიტიკული ვითარებები განაპირობებდა. ასევე აღსანიშნავია, 2013 წლიდან მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის